პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ფასი 3 კაპ.

# წითელი მხედარი

პირველ და მეორე ქართულ მსროლელ დივიზიების პოლიტგანყოფილებების ყოველ დღიური ორგანო

—

წელიწადი მეექვსე

რედაქციის მისამართი: თბილისი, ლუნაჩარსკის (ყოფ. ევანგულოვის) ქუჩა № 2.

—

დაუბეჭდავ წერილებს რედაქცია უკან არ აბრუნებს.

ხელის მოწერის პირობები: ცალკე ხელის მომწერთათვის 1 თვით—35 კ., 3 თვით— 90 კაპ. 6 თვ—1 მ. 70 კ. 12 თვ.—3 მ. 20 კ.

წითელ არმიელებისათვის კოლექტიური ხელის მოწერა: 1 თვით—30 კ. 3 თვით—80 კაპ. 6 თვით— 1 მ. 50 კ. ერთი წლით 3 მან.

განცხ. ფასი 1 გვ —80 კ. სტრ. მე 4-ზე—40 კ.

115 (1010) | ხუთშაბათი, 27 მაისი 1926 წ. | 115 (1110)

## სამხკორებო, მეტი ყურადღება სამხედრო საქმის გაშუქებას.

საბანაკო სწავლება დაიწყო. ცადინეობას შეუდგენ ჩვენი ალწვეული ცვალებადელეც. გაჩაღდა როგორც საბაკო ცხოვრება, ისე ორთვეხევრიანი ტერშეკრება.

ცხადია, სამხკორების ყურადება ამ საბანაკო მუშაობის ა ტერშეკრების მეცადინეობის მიმდინარეობის გაშუქებაკენ უნდა იყოს მიქცეული. ამხკორები სწერენ, უმთავრედ ბანაკის მოწყობისა და ოლიტიკურ-კულტურულ მუაობის შესახებ. მთავარი და ირითადი მათი ყურადღების არეშე რჩება.

რა არის მთავარი როგორც აბანაკო მუშაობისა, ისე მიმინარე ტერშეკრების? სახედრო საქმე, სამხედრო წავლება. ეს არასდროს არ ნდა დაივიწყონ ჩვენმა სამხორებმა. წითელ ჯარში მთაარია სამხედრო საქმე, მებრძოლის სამხედრო აღზრდა. მიტომაც ჩვენი სამხკორები ოვალენი არიან სისტემატიურად სწერონ, თუ როგორ იმდინარეობს სამხედრო სწავლება, როგორც ბანაკში, ისე ტერშეკრებაზე, რა მიღწევებია მ მხრივ, როგორ ეკიდებიან ითელარმიელები სამხედრო წავლებას. ერთი სიტყვით, ამხედრო სწავლება უნდა შუქდებოდეს ვრცლად არა თუ ხლა, არამედ ყოველთვის. ჩვენ ევრჯერ მიგვითითებია გაზეთის საშუალებით ამ დიდ ნალზე სამხკორთა მუშაობაში.

ცხადია ამით კი ის არ გვინდა ვსთქვათ, რომ სამხკორებმა მხოლოდ და მხოლოდ სამხედრო სწავლებაზე უნდა სწერონ და არა პოლიტ და კულტურულ მუშაობაზე. სრულიადაც არა. პირიქით კიდევ უფრო მეტად უნდა გააშუქონ ნაწილების პოლიტიკური, კულტურული მუშაობა და მათი ყოფა-ცხოვრების ყველა მხარეები. მაგრამ ამასთანავე ერთად სამხკორებმა უნდა მოგვცენ აგრეთვე საკმაო მასალა, სადაც სრულად უნდა იყოს მოცემული სამხედრო სწავლების მთელი სურათი.

სამხკორები აგრეთვე ძლიერ ცოტას სწერენ პარტმუშაობაზე. და ეს იმ დროს, როცა ჩვენს პარტორგანიზაციებს ამ ჟამად აუარება სამუშაო აქვთ.

დროა ყოველივე ეს ჩვენმა სამხკორებმა შეიგნონ და კიდევაც გაატარონ ცხოვრებაში. წარსულ წელში როგორც საბანაკო ცხოვრება და სწავლება, ისე ტერშეკრება არ გაშუქებული, როგორც ეს საჭირო იყო.

წრეულს კი ყოველმხრივ უნდა ვსცადოთ წარსულის ნაკლი გამოვასწოროთ და უფრო სრულად და ვრცლად გავაშუქოთ ჩვენი წითელი ჯარის ეს ორი მნიშვნელოვანი პერიოდები.

ეს ამოცანა მტკიცედ უნდა შევასრულოთ!

ჯერი თქვენზეა სამხკორებო! მთავარი ყურადღება სამხედრო სწავლების გაშუქებას!

## ინგლისის სამთა-მადნო მუშების ბრძოლა გრძელდება.

ინგლისის სამთამადნო მუშები კვლავ განაგრძობენ გაფიცვას. მთავრობის ცდამ დათმობაზე წაეყვანათ ისინი, უნაყოფოდ ჩაიარა. ქვანახშირის მრეწველები შეულაპარაკებლად მოითხოვენ მუშებისათვის ხელფასის დაკლებას 10% და სამუშაო დღის გადიდებას. სამთამადნო მუშები სასტიკ უარზე არიან, მიუხედავათ იმისა, რომ გაფიცვა დიდ მსხვერპლს მოითხოვს მათგან და მასთან ინგლისის კაპიტალის წინაამდეგ ბრძოლაში ისინი მარტონი დარჩენ. თუმცა აქ უნდა აღინიშნოს, რომ ზნეობრივ და მატერიალურ დახმარებას ისინი ღებულობენ, როგორც თავის ქვეყნის, ისე სხვა ქვეყნის მუშებისაგან.

სამთამადნო მუშების პროფორგანიზაციამ სასტიკად დაგმო ღენერალურ საბჭოში მოკალათებულ მოღალატე ბელადების საზიზღარი საქციელი. ეს უკანასკნელნი კი—ბატონი მაკდონალდი, ტომასები, გენდერსონები განზე არიან გამდგარი და სიხარულით მოელიან იმ წუთებს, როცა დამარცხდებიან ინგლისის სამთამადნო მუშები.

უნდა აღინიშნოს, რომ ღენერალური საბჭო არავითარ დახმარებას არ უწევს გაფიცულებს. მოღალატეებს თავისი საზიზღარი საქმე—მუშების გაცემა—მიყავთ ბოლომდი.

სამაგიეროთ გაფიცულებს არ ივიწყებენ ადგილობრივი ორგანიზაციები, რომლებიც მუშათა მასების უშუალო გავლენის ქვეშ იმყოფებიან.

ეს პროფორგანიზაციები ყოველმხრივ სცდილობენ შეუმსუბუქონ მატერიალური მდგომარეობა გაფიცულ მაღაროს მუშებს. ამ მიზნით აწარმოებენ თავის წევრებს შორის როგორც შემოწირულებების შეკრებას, ისე განსაზღვრული გადარიცხვას საწევრო თანხიდან.

ასე თუ ისე, ინგლისის სამთამადნო პროლეტარიატი მაინც არ რჩება მარტოდ თავის ინტერესებისათვის ბრძოლაში. შეძლებისადაგვარად მას დახმარებას უწევს ინგლისის და საერთაშორისო პროლეტარიატი. ეს კი მას შესაძლებლობას აძლევს, რაც შეიძლება მეტ ხანს გაუწიოს წინაამდეგობა შემოტეულ კაპიტალს და ძვირად დაუჯინოს მას მისი თავგასულობა.

ინგლისის სამთამადნო პროლეტარიატი ჯერჯერობით მტკიცედ სდგას თავის პოზიციებზე.

ყველა ქვეყნის მუშების მოვალეობას შეადგენს ყოველმხრივ დაეხმარონ გაფიცულ მაღაროს მუშებს და ერთ წუთს არ შესწყვიტონ ეს დახმარება.

—ე.

# ინგლისის მთა-მადნის მუშები მოუწოდებენ ყველა ქვეყნის მუშებს დახმარებისთვის

## გაფიცვების შედეგები უკვე დაეტყო ინგლისის მრეწველობას:

## იხურება ქარხნების მთელი რიგი

## მთავრობა მოითხოვს დაჩქარებულ იქნას რკინის გზის მოძრაობის შემცირება

### მეპატრონეებმა დრო იხელთეს და საგრძნობლად ასწიეს ფასები ნახშირზე

## ინგლისის მთა-მადნის მუშათა გაერთიანების მოწოდება

ინგლისის მთა-მადნის მუშათა გაერთიანებამ გამოაქვეყნა მოწოდება ინგლისისა და ყველა ქვეყნის მუშებისადმი. მოწოდებაში ნათქვამია:

„ინგლისის მუშებს წარუდგინეს მოთხოვნილება სამუშაო ხელფასის 10 პროცენტით დაკლების შესახებ, რომელიც წინადადების თანახმად, კვლავ უნდა შემცირდეს მომავალში, და სხვა.

მიუხედავად იმისა, რომ ბრძოლის გაგრძელება დიდ გაჭირვებას მიაყენებს მრავალ ათას ინგლისელს, მუშებმა მაინც უარყვეს ეს წინადადება, რომლის მიღება კიდევ უფრო გააუარესებდა არსებობის ისედაც მძიმე პირობებს.

ამ პირობების უარყოფით ინგლისის სამთა-მადნო მუშები იცავენ აგრეთვე ყველა მუშების ინტერესებს.

გარეშე ქვეყნების მუშები დახმარებას უწევენ ინგლისის მუშებს ფულითა და ნახშირის გატანაზე ხელის შეშლით.

მივმართავთ ინგლისის მუშებსა და ყველა ქვეყნის პროლეტარებს უღრმესი თხოვნით—განაგრძონ თავიანთი დახმარება.

ვთხოვთ აგრეთვე გაადიდონ მატერიალურ დახმარების რაოდენობა.

ყოველი ფუთი ნახშირი, რომელიც დატვირთულ იქნება ნავთსადგურის მუშების მიერ ინგლისში გასაგზავნად, ლუკმა პურს დაუკარგავს მაღაროს მუშათა ბავშვებს.

მუშების მიერ ჩვენს სასარგებლოდ შეკრებილი თვითეული კაპეიკი დაგვეხმარება წავსდგათ წინ ნაბიჯი და მოვიპოვოთ ადამიანური პირობები არსებობისა".

## გაფიცულთა დასახმარებლად

სამრეწველო გაერთიანებათა მუშების ეროვნულ კავშირმა დაადგინა შესწიროს გაფიცულ მუშათა სასარგებლოდ ათასი გირვანქა სტერლინგი (სტერლინგი უდრის დაახლოებით 10 მანეთს) და დაავალოს ყველა წევრებს ყოველ კვირეულად გაიღონ თითო შილინგი გაფიცულთა ფონდისთვის.

იმ დროს, როცა ინგლისის პროფკავშირთა აღმასკომი თავს იკავებს დახმარების გაწევისაგან, პროფკავშირთა ადგილობრივი განყოფილებები ენერგიულად აგროვებენ შემოწირულებას.

## რკინის გზის მოძრაობა მცირდება

მთავრობა დაჟინებით მოითხოვს რკინის გზის მოძრაობის შემცირების დაჩქარებას, რადგანაც სურს რკინის გზებზე დაგროვებული მარაგი გამოიყენოს სხვა მიზნებისთვის.

## დრო იხელთეს

ბევრ რაიონში მაღაროს პატრონები სარგებლობენ შექმნილ მდგომარეობით და ადიდებენ ნახშირის ფასებს. გლაზგოს რაიონში ფასები 22 შილინგით გაიზარდა ტონაზე (61 ფუთი).

## გაფიცვების შედეგებმა თავი იჩინა

გაფიცვების შედეგები უკვე ემჩნევა ინგლისის მრეწველობის სხვა დარგებსაც.

ლეიჩესტერშაირში დაიხურა რონოდების მშენებელი ქარხანა. სამხრეთ უელიში თითქმის სრულიად შესწყდა მუშაობა ფოლადის სამრეწველოებსა და თუნუქის ფაბრიკებში. ბოლტონის საფეიქრო ქარხნებში განზრახულია საგრძნობი შემცირების ჩატარება.

## გაფიცულთა რაიონების „შვილობილად" აყვანა

ლონდონის აღმოსავლეთ ნაწილის სამრეწველო რაიონში შემოღებულ იქნა „შვილობილად" აყვანა გაფიცულ იმ რაიონების, სადაც მუშები დიდ საჭიროებას განიცდიან.

# საქართველოში.

## ინგლისელ ამხანაგებზე დასახმარებლად

24 მაისამდი, ინგლისის გაფიცულ მუშათა სასარგებლოდ საქართველოს პროფსაბჭოში შემოვიდა 20 ათას 226 მანეთი და 81 კაპეიკი.

შეწირულებათა დაგროვება გრძელდება.

## მდინარე ცხენისწყლის ნაპირების გამაგრება

მდინარე ცხენისწყლის ნაპირების გასამაგრებლად საჭიროა 15 ათასი მანეთი. ამ თანხიდან წყალთა სამმართველომ გასცა 5 ათასი მანეთი, 6 ათასი შეაქვთ დაინტერესებულ პირებს, საჭიროა კიდევ 4 ათასი მანეთი.

ახალსენაკის მაზრის აღმასკომმა დაადგინა ეთხოვოს წყალთა სამმართველოს დამატებით 4 ათასი მანეთი, რომელიც აკლდება გათვალისწინებულ ხარჯთაღრიცხვას.

## გამოცხადდა ასი პროცენტი

თელავი. 1903 წლიანები სიმღერითა და მუსიკით გამოცხადდენ გასაწვევ წერტზე. გამოცხადდა ასივე პროცენტი.

## სასროლო საქმის ინსტრუქტორთა კურსები

საქართველოს პროფსაბჭომ გახსნა სასროლო საქმის ინსტრუქტორთა მომზადების კურსები. კურსების პროგრამა გაანგარიშებულია თექვსმეტ გაკვეთილად.

## ფოთის ჭაობების ამოშრობა

ამჟამად გაძლიერებული მუშაობა სწარმოებს ფოთის ჭაობების ამოსაშრობად. იწმინდება წყლები, რომლებიც ჩაუდიან ჭაობიან რაიონებს. ფოთის მიდამოებში დამთავრდა ხელოვნურ ბორცვების გაკეთება რიონის მხრივ წყალდიდობის წინაამდეგ საბრძოლველად.

# ბრძოლა მომჭირნეობისათვის

## ლენინის აზრები
### მომჭირნეობის შესახებ

ჩვენი პროლეტარიატის დიქტატურა მიზნად ისახავს უზრუნველყოფას წესრიგის, დისციპლინის, შრომის ნაყოფიერების, პროლეტარული საბჭოთა ძალა-უფლების აღრიცხვისა და კონტროლის, რომელიც (საბჭ. ძალა-უფლება) უფრო მტკიცე, უფრო ძლიერია, ვიდრე წინად. საჭიროა რათა ამ მხრივ მიმართულ იქნას ყველა შეგნებულ მუშებისა და გლეხების მთავარი ძალები.

საქმე ისე უნდა დავაყენოთ, რათა თვითეული მშრომელი მთელ თავის ღონისძიებას ახმარდეს მუშურ-გლეხური სახელმწიფოს განმტკიცებას. მხოლოდ მაშინ შეიძლება შეიქმნას მსხვილი მრეწველობა.

საჭიროა ეს შეგნება შეიჭრას მასაში, და არა მარტო შეიჭრას, არამედ შთაინერგოს კიდეც და განმტკიცდეს მასში პრაქტიკულად.

საჭიროა წერა-კითხვა ემსახურებოდეს კულტურის ამაღლებას, რათა გლეხმა მიიღოს შესაძლებლობა მოიხმაროს წერა-კითხვის ცოდნა თავისი მეურნეობისა და სახელმწიფოს გაუმჯობესებისთვის.

აუცილებელი საჭიროა ყველა მუშებისა და გლეხების ძალთა დაჭიმვა, საჭიროა ჩვენი სახელმწიფო აპარატის, რომელიც ჯერ კიდევ ვერ სდგას სათანადო სიმაღლეზე, გაუმჯობესება და გაიაფება, რათა გაუმჯობესებულ იქნას მშრომელთა მდგომარეობა და აღვადგინოთ, თუნდაც ნელ-ნელა, იმპერიალისტურ და სამოქალაქო ომების მიერ დანგრეული ჩვენი მეურნეობა.

სამეურნეო მუშაობაში საჭიროა მომჭირნეობა. ხოლო ეს მომჭირნეობა კი ჩვენ ჯერ კიდევ ვერ გვისწავლია.

წესიერად და კეთილ სინდისიერად აწარმოე ფულის ანგარიში, იმეურნევე ეკონომიურად, ნუ იზარმაცებ, ნუ იქურდებ, დაიცავი უსასტიკესი დისციპლინა შრომაში,—აი სწორედ ეს ლოზუნგები, რომლებსაც სამართლიანად დასცინოდა რევოლიუციონური პროლეტარიატი მაშინ, როცა მსგავსი სიტყვებით ბურჟუაზია, როგორც მყვლეფელთა კლასი, ნიღბავდა თავის ბატონობას, აი სწორედ ეს სიტყვები, ბურჟუაზიის ჩამოგდების შემდეგ, მომენტის მორიგ და მთავარ ლოზუნგად ხდება. ამ ლოზუნგების მშრომელთა მასების მიერ ცხოვრებაში პრაქტიკულად გატარება წარმოადგენს ერთის მხრივ ქვეყნის ხსნის ერთად-ერთ პირობას, იმ ქვეყნის, რომელიც სასიკვდილოდ დაჭრილითა და გასჯიჯგნა იმპერიალისტურ მტაცებლებმა (კერენსკის მეთაურობით), ხოლო მეორეს მხრივ ამ ლოზუნგების ცხოვრებაში პრაქტიკულად გატარება საბჭოთა ხელისუფლების მიერ, მისი მეთოდებით, მისი კანონების საფუძვლებზე, აუცილებელი და საკმარისია სოციალიზმის საბოლოო გასამარჯვებლად.

უნდა გვახსოვდეს, რომ ჩვენ გვმართებს ძალების უაღრესად დაჭიმვა ყოველ დღიურ შრომაში, წინააღმდეგ შემთხვევაში აუცილებელი დაღუპვა მოგველის.

## მომჭირნეობის რეჟიმი და ჩვენი ინამდვილე

უკანასკნელ ხანებში პარტიამ და მუშურ გლეხურ ხელისუფლებამ მტკიცე დირექტივა გასცა, როგორც სამეურნეო, ისე მთელ საბჭოთა აპარატის მიმართ, რათა მიექცეს მთავარი ყურადღება ზედმეტ დატვირთვას სხვა და სხვა გადასახადებით, ზედმეტ შტატით, სახელმწიფო ქონების გაფლანგვებით და სხვა. ეს თანახმად რევსაბჭოს ბრძანებისა ვრცელდება ჩვენ წითელ ჯარზეც.

მთავარ როლის შესრულება ამ დირექტივის გასატარებლათ ევალება ჩვენი ჯარის პარტორგანიზაციებს, რასაკვირველია ყველა პოლიტ-მუშაკების მეთაურების და წითელ არმიელების დახმარებით.

ყოველ ნაწილში (მით უმეტეს თუ ის დიდია), რაგინდ სასურველათ იყვეს საქმე დაყენებული, შეცდომებს მაინც ექნება ადგილი. ხშირია მივლინებანი ერთი-ორი ამხანაგის, როდესაც ეს სამსახურის დავალება თავისუფლათ შეუძლია შეასრულოს ერთმა: არის ავანსების" გაცემა, რაც უკვე ტრადიციათ გადაიქცა ჩვენს ცხოვრებაში. ხშირია აგრეთვე „კანცმოხელეების" ჩარიცხვა სხვა და სხვა სამწყობრო-პოლიტშემადგენლობის შტატებში: მაგალითად საქმის მწარმოებლის თანაშემწის ან გადამწერის, ათეულის თავის ან ოცის თავის თანაშემწის შტატში; ან რეგისორის (ასევე ლეგკლუბის მხატვარის) ამავე შტატებში და სხვა; ეს იმ დროს, როდესაც ჩვენ შესაძლებლობა გვაქვს ასეთი „უშტატო" პირები, გამოვნახოთ ჩვენ რიგებიდან, ან და ეს დავალება დავაკისროთ ამ მოვალეობასთან დაახლოვებულ პირს. (მაგ. საქ. მწარ. თანაშემწეობა—საქმის მწარმოებელს).

ამას გარდა მრავალი წვრილმანებია ჩვენს ცხოვრებაში, რომელთაც თითქოს ერთის შეხედვით, არავითარი „ზედმეტი" ხარჯები არ მოაქვს, მაგრამ თუ ფაქტიურად კაპეიკებით (და ეს აუცილებლად საჭიროა) ავწონით, ამ „წვრილმანებს", მაშინ მსხვილ ბოროტმოქმედებას მივიღებთ, რომელიც ზედმეტად ტვირთავს, ჩვენს ისედაც ღარიბ ბიუჯეტს (შემოსავალ-გასავალია).

უკვე დროა—ამ „წვრილმანებს" მივაქციოთ ყურადღება. საჭიროა ჩვენი პარტიის დირექტივა შეურყევლად გავატაროთ ჩვენს სინამდვილეში.

ყოველი პარტ-პოლიტმუშაკები, მეთაურები და წითელ არმიელები ზნეობრივად ვალდებული არიან, როგორც თავის თავის, ისე ჩვენი პარტიის წინაშე შეამოკლონ ზედმეტი ხარჯები თავის ნაწილებში; ეს კი შესაძლებელია ჩვენი დივიზიის პრესის საშუალებით, ყველა საჭირო ცნობების გაზეთ „წითელ არმიელში" მოთავსებით.

შევამციროთ ზედმეტი ხარჯები. დავიცვათ სასტიკი მომჭირნეობა.

დ. ჭანტურიშვილი.

## დავიცვათ მომჭირნეობის რეჟიმი
### ნუ დავღუპავთ სახაზინო ქონებას

1-ლი ლეგიონის ბანაკის მოწყობის დროს აუარება მორჩენილი ფიცრები და სხვა მასალები დაიყარა ველში. ეს ქონება დღესაც ასე უპატრონოდ ყრია და აწვიმს, როდესაც მრავალ მხრივ შეიძლება მათი გამოყენება.

ამას გარდა ლეგიონის ქსენონისათვის წამოღებული იქნა ბანაკში: მაგიდები, სკამები, კოკები და სხვა. ბევრი მათგანი დაიმტვრა უხალ-მახალი მოპყრობით გადატან-გადმოტანის დროს, რაც გადარჩა იგინიც ცის ქვეშ ყრია და აწვიმს, რადგან ლეგიონის საექიმო შემადგენლობა მოთავსდა დივიზიის საავადმყოფოში და ქსენონის მოწყობილობა აღარ ესაჭიროებათ. ბანაკობა გათავდება და ლეგიონს ისევ დასჭირდება ქსენონი. საჭირო იქნება მისი ყველა მოწყობილობაც და რომ აღარ ექნებათ ხელახლა უნდა გააკეთებინონ, ეს კი გამოიწვევს ზედმეტი ხარჯების გაღებას იმისგვარდა, რომ მშრომელთა კაპეიკებით შეძენილი ქონება დაიღუპება. გადაარჩინეთ ეს ქონება გაფუჭებისაგან.

ცქიფა.

## სამხედრო სწავლება ბანაკში
### ვინ არის დამნაშავე ტყვიის დაცილებაში, შაშხანა თუ მსროლელი

სასროლო წესდებაში ჩამ ო-მიზნამდის ვერ მიაღწევს, ვ... თვლილია რამოდენიმე მიზეზი, რომლებიც ხელს უშლიან მარჯვე სროლას: მსროლელის არასწორი მოქმედება, დაზიანებული შაშხანა, ამინდისა და ადგილ-მდებარეობის პირობები.

ნოტიო, წვიმიან, ან თოვლიან ამინდში ჰაერი მკვრივია, ტყვიას უძნელდება შედარებით ჰაერის გაჭრა და მიზნამდის ხშირად ვერ მიდის. ასევე ხდება როცა ისვრიან წყლის ერთი ნაპირიდან (მდინარის, ტბის, ჭაობის) მეორეზე, სადაც ჰაერი ისეთივე მკვრივია. აქ შაშხანა და მსროლელი არაფერ შუაშია.

თუ რომ შაშხანას ზიანი აქვს, თუ რომ მისი ნაწილები გადუნულია, აქაში დამნაშავეა არა თვით შაშხანა, არამედ მსროლელი, რომელიც არ უფრთხილდება შაშხანას. რა შედეგი შეიძლება მოჰყვეს ყოველივე ამას? თუ რომ შაშხანის ნაწილი გაბზარული ან გადუნულია, გასროლა ან არ მოხდება, ან მოხდება და შაშხანა გასკდება, მაგ. გადუნვის შემთხვევაში, როცა დენთის ძალა აწვება ტყვიას, ხოლო ლულის გადუნვა ხელს უშლის მას გავარდეს ლულიდან. თუ რომ ლულა გაბერილია, ან შაშხანა-ხაზეჰი გადალესილი, ტყვია ნაიდან ტყვია ვერაა ლულა... მჭიდროდ, გასროლის დრო... ლაყლაყობს და ვერ აქვს სა... მათ გაქანება, რომ ჰაერი გას... რას რიგიანად.

თუ რომ მსროლელს მჭ... როდ არ აქვს მიდგმული მხარ... ზე კონდახი, ან სუნთქავს გას... როლის დროს, ტყვია ან ვე... მიაღწევს მიზანს, ან და გადა... შორდება. ეს დამოკიდებული... იმაზე, თუ რომელი ნაწილ... იყო მაღლა გასროლის დრო... —ლულა თუ კონდახი. თ... ლულა მაღლა იყო, ტყვია მ... ზანს გადასცილდება, თუ და... ლა,—მიზანს ვერ მიაღწევს.

თუ მსროლელი დამიზნები... დროს მარცხენა თვალს არ მო... ხუჭავს, ტყვია წავა მარცხნი... ვინაიდან შეიცვლება მსრო... ლელის თვალისაგან მიმავალ... მიმართულება კორას ჭრილს... და ნიშანზე.

თუ ნიშანი მოდრეკილი... მარჯვნივ—ტყვია წავა მარცხ... ნივ და პირიქით.

ასე რომ, სროლის არა სის... წორე და მისი შედეგები და... მოკიდებულია არა შაშხანაზე... არამედ მსროლელზე, რომე... ლიც სწორად ვერ უმიზნებს... ან არ უფრთხილდება შაშხა... ნას.

## ისწავლე მარჯვე სროლა
### სროლაში დახელოვნება შეიძლება მხოლოდ გულ... ოდგინე ვარჯიშით

მტრის მოქმედების შებოჭვა მარჯვე ცეცხლით—ეს ნიშნავს შეუქმნა კარგი სამანევრო პირობები თავის ნაწილს და უზრუნველჰყო ამ მანევრის ჩატარება.

თუნდაც მტერი მოხდენილად აკეთებდეს მანევრებს, მარჯვე მსროლელი მაინც დაარღვევს ამ მანევრს.

მაგრამ ასეთი სროლა მოითხოვს ამტანიანობას, სიმტკიცეს, ფხიზელ თვალსა და სროლის საქმის კარგად ცოდნას.

ეს თვისება ყველა მეომარს აქვს, როგორც ყოველ ჯანსაღ... ადამიანს. მაგრამ საჭიროა მხო... ლოდ დახელოვნება შაშხანის... ხმარებასა და მარჯვე სროლა... ში. ეს კი უვარჯიშოდ არ იქ... ნება.

საზამთრო პერიოდში მსრო... ლელები სწავლობდენ შაშხანას... გაიარეს დაწყებითი სროლა—სწორი გასროლის პრაქტიკა.

ზაფხულის პერიოდში კი იწ... ყება სროლა ისეთ გარემოება... ში, რომელიც ახლოს ჰგავ... ბრძოლის ველს.

# ბრძანება
## სსრკ-ს რევსამხსაბჭოსი
### 18 მაისი №270 ქ. მოსკოვი

მუშურ-გლეხური წითელი არმიის დამაკმაყოფილებლად შენახვა საბჭოთა სახელმწიფოს მუდმივ საზრუნავს შეადგენს.

მაგ. წ. არმიის შესანახად 1925—26 წლის ბიუჯეტი საბოლოოდ დაწესებულია და უდრის 585 მილიონ მანეთს, რაც საგრძნობ პროცენტს შეადგენს ქვეყნის საერთო სახალხო მეურნეობის ბალანსში.

საბჭოთა კავშირის სამეურნეო ზრდა მოითხოვს უდიდეს ეკონომიასა და მომჭირნეობას საშუალებათა დახარჯვაში. თვითეული საბჭოთა კაპეიკი დახარჯულ უნდა იქნას თავის პირდაპირ დანიშნულებაზე და უნდა იძლეოდეს სათანადო დადებითი შედეგს.

სახალხო მეურნეობისა და სოციალისტურ აღმშენებლობის აღორძინების შემდეგი პროცესი მოითხოვს რეზერვების დაგროვებას; ამიტომ ყოველი მანეთის გონივრულად და ანგარიშით დახარჯვას დიდი მნიშვნელობა აქვს, ვინაიდან ეს ხელს უწყობს ჩვენი კავშირის ეკონომიური ზრდის დაჩქარებას.

სამხედრო უწყებამ, რომელიც ბიუჯეტის მიხედვით ესოდენ მნიშვნელოვან თანხას ღებულობს, თავის მხრივ ანგარიში უნდა გაუწიოს ეკონომიისა და მომჭირნეობის აუცილებლობას, უნდა ცდილობდეს ამ საშვალებათა სავსებით და გონივრულად გამოყენებას, მიმდინარე მოთხოვნილებათა საუკეთესოდ დაკმაყოფილებას და სათანადო მარაგის დაგროვებას სამხედრო გართულების შემთხვევისათვის.

თანამედროვე პირობებში მხოლოდ სასტიკი და სისტემატიური მომჭირნეობის რეჟიმით ჩვენ შეგვიძლია იმედი ვიქონიოთ, რომ გავაუმჯობესებთ მ. გ. წ. არმიის ცხოვრების პირობებსა და ავამაღლებთ ჩვენს მატერიალურ—ტეხნიკურ ძლიერებას.

არსებული ცნობები გვიჩვენებენ, რომ ასეთი მომჭირნეობა ჩვენ ყველგან არა გვაქვს. არის შემთხვევები, როცა გაუფრთხილებლად იხარჯება სახელმწიფოს მიერ წითელი არმიის შესანახად გაცემული თანხა.

ამის გამო სსრკ-ს რევოლიუციონური სამხედრო საბჭო ბრძანებს:

1. ყველა სამმართველოებმა, დაწესებულებებმა და ჯარის ნაწილებმა სასტიკად დაიცვან მომჭირნეობა ფულისა და მატერიალურ საშუალებათა დახარჯვაში, რომლებიც გაცემულია წითელი არმიის მოსამარაგებლად.

2. ყველა სამმართველოებმა, დაწესებულებებმა და ჯარის ნაწილებმა გადახედონ თავიანთ გეგმებსა და ხარჯების ნუსხას, კარგად ასწონ-დასწონონ და გამორიცხონ ზედმეტი ხარჯების ყველა მუხლები. კერძოდ, მ. გ. წითელი არმიის მეთაურთა შემადგენლობის ყურადღება მიქცეულ უნდა იქნას შემდეგზე:

ა) დაცულ უნდა იქნას ნამდვილი მიზანშეწონილობა და აუცილებლობა სამსახურის საქმეზე მივლინებაში, რომელიც იწვევს დიდ ხარჯებს. დაშვებულ იქნას მივლინება მხოლოდ აუცილებელ საჭიროების დროს;

ბ) სრულიად მოსპობილ იქნას ხარჯები, რომლებსაც იწვევენ ბეჭვდა ხელმძღვანელობისთვის არა საჭირო ანგარიშებისა, დადგენილებებისა, საუწყებო ყრილობებისა და თათბირების გადაწყვეტილებებისა, ყოველგვარ მისაწვევ ბილეთებისა, მისამართებისა და სხვა.

გ) არ იქნეს დაშვებული კანონით დაუშვებელი სესხება ფულისა სახაზინო თანხიდან; დავალიანება გასწორებულ უნდა იქნას უახლოეს დროში. თავისუფალი ფულის რაოდენობა, თანახმად არსებულ წესებისა, უნდა ინახებოდეს მიმდინარე ანგარიშზე ფინანსიურ ორგანოებში;

დ) სამეურნეო ფონდის, საამხანაგო თანხის დახარჯვა, ფულის გაცემა კანცელარიის, შტაბისა და დაწესებულების ბინის მოსაწყობად სასტიკად უნდა იქნას განსაზღვრული აუცილებელ მოთხოვნილებით;

ე) გაძლიერებულ იქნას თვალყურის დევნება და მოეთხოვოს ქონების შენახვის წესების დაცვა მ. გ. წ. არმიის ცენტრალურ და საოლქო ორგანოების, ჯარის ნაწილებისა და დაწესებულებების საწყობებისა და მაღაზიებში;

ვ) არ იქნას დაშვებული უმიზნო გადატანა ბარგის, ერთი შესანახ წერტიდან მეორეზე გადატანა ისე, თუ რომ წინასწარ არ იქნება აწონილი და საოპერაციო—სამობილიზაციო თვალსაზრისით გამართლებული.

ზ) არ იქნას დაშვებული შტატ გარეშე მომუშავეთა მიღება სხვა საშტატო თანამდებობათა ხარჯზე;

თ) წარმოებულ იქნას სასტიკი ბრძოლა საკანცელარიო მიმოწერის შესამცირებლად, საქმის გაჭიანურების ამოსაფხვრელად, სიმარტივისა და გარკვეულობის დასაწესებლად მუშაობაში;

ი) გაძლიერებულ იქნას წითელ არმიელთა შორის აღმზრდელობითი მუშაობა, როგორიცაა, ნივთების, ქონებისა და შეიარაღების მოფრთხილება.

3. ყოველგვარ ზედმეტი ხარჯების გაწევის ცდებისთვის, ფულისა და მატერიალურ საშვალებისადმი გაუფრთხილებლობისათვის, სამეურნეო დაუდევრობისათვის, ბიუროკრატობისა და საქმის გაჭიანურებისთვის დამნაშავენი სასტიკ პასუხისგებაში იქნებიან მიცემული.

მ. გ. წ. არმიის მეთაურთა შემადგენლობის მხრივ ცოცხალი და ფხიზელი ყურადღება მომჭირნეობის რეჟიმისადმი—შეუმსუბუქებს საბჭოთა კავშირს სამეურნეო სიძნელეთა გადალახვას, გააძლიერებს მ. გ. წ. არმიის მატერიალურ უზრუნველყოფის ხარისხს და ყოფა-ცხოვრების დონეს. საჭიროა მხოლოდ, რათა მომჭირნეობის რეჟიმს შეუსუსტებელი საქმიანობითა და ყურადღებით ეპყრობოდეს თვითეული მეთაური.

4. საოლქო ჯარების სარდლებმა და ცენტრალურ სამმართველოების უფროსებმა, ამა ბრძანების განვითარებად, მისცენ მითითებანი მათ ხელქვეით გაერთიანებებსა და დაწესებულებებს. ყველა მორიგ მოხსენებებზე გააკეთონ ცალკე მოხსენებები ღონისძიებებზე მომჭირნეობის ბრძოლისთვის, მიღწეულ შედეგებზე, და აგრეთვე მომჭირნეობისთვის ბრძოლის შემაფერხებელ მიზეზებზე.

სსრ ს რევსამხსაბჭოს თავ... მჯდომარე ვოროშილოვი.

# ცვალებადელები შეუდგენ სწავლებას

## საკლუბო მუშაობა ჩვენთან.

მე-4 ლეგიონი.

ლეგიონის კლუბი წარსულში გაცარიელებული და მოუწყობელი იყო. ნაწილმა თავის ძალით შესძლო მისი სავსებით გადახალისება და მოწყობა. კლუბის დარბაზში განსაკუთრებულ ადგილას არის მოწყობილი სასროლო კაბინეტი, სადაც თავისუფალ დროს, მიმაგრებული ამხანაგები აცნობენ წითელარმიელებს და დაინტერესებულ მოქალაქეებს კაბინეტში მოთავსებულ ექსპონატებს. კაბინეტს აქვს ოთხი მთავარი განყოფილება: 1) მესანგრეთა, 2) ავიოქიმის, 3) საკავშირო საქმის და 4) სასროლო. ყველა განყოფილებები მდიდარია საჭირო მასალებით.

დარბაზის მეორე დიდი ნაწილი უკავია საწრეო მუშაობის განყოფილებას, რომელიც იყოფა სამ უმთავრეს განყოფილებათ: 1) აგრონომიული განყოფილება, 2) სანიტარული და 3) მოპადრაკეთა. სამივე კუთხე დიდათ აინტერესებს მნახველთ თავიანთი მოწყობილობით.

აგრონომიულ განყოფილებას აქვს სხვა და სხვა დარგები: 1) მესაქონლეობის, 2) მეფუტკრეობის, 3) მეაბრეშუმეობის, 4) მევენახეობის და 5) ხვნათესვის.

სანიტარულ განყოფილებას კი აქვს: 1) ადამიანის აგებულობის კუთხე, 2) პირველი დახმარება უბედურ შემთხვევების დროს და 3) ვენერიული სნეულებანი.

დანარჩენ დარგებიდან ჯერ არა არის რა მოწყობილი. ვიმედოვნებთ, რომ ლეგიონი შეძლებს მისცემს უფროს ექიმს სხვა დარგებიც მოაწყოს, როგორც პროექტში აქვს გამომუშავებული.

კლუბთანვე არსებობს დრამატიული დასი, რომელიც შესდგება ძირედ წითელ-არმიელებისაგან და თითქმის ყოველ შაბათ-კვირაზე სდგამს წარმოდგენებს და გასამართლებებს. ცვალებადელების მოსვლამ დროებით შეანელა საკლუბო მუშაობა, მაგრამ როგორც კი დალაგდებიან სათანადოთ, მუშაობა ისევ გაცხოველდება. კლუბის გამგეობას ფართო გეგმა აქვს მათ შორის მუშაობის საწარმოებლად. უპირველეს ყოვლისა განზრახულია ცვალებადელების კლუბის გარშემო შემოკრება და იმათივე ძალებით წარმოდგენების, გასამართლებების, კითხვა-პასუხის და კომბინიურ სადამოების გამართვა. საამისოთ უკვე დაწყებულია წინასწარი მუშაობა.

სამხკორი ია.

## გავხსენით საბიბლიოთეკო სემინარი

მე 5 ლეგიონი

21 მაისს ლეგიონში გაიხსნა ერთვიანი საბიბლიოთეკო სემინარი. ყველა ასეულებიდან გამოყოფილი იქნენ შესაფერად მომზადებული წითელ არმიელები და მოავლინეს სემინარზე. ამ ჟამად სემინარს ყავს 17 მსმენელი წითელ არმიელი.

გახსნისას ვრცელი სიტყვით მიმართა მსმენელებს სემინარის ხელმძღვანელმა და აღნიშნა თუ რა მიზანს ემსახურება ის ლეგიონში. საჭიროა ასეულებისათვის სათანადო ცოდნის მქონე ბიბლიოთეკარები, რომ შესძლონ მათ დაკისრებული მოვალეობის შესრულება. ასეთი სემინარის გარეშე კი კარგი ბიბლიოთეკრები ვერ გვეყოლება—სთქვა ამხანაგმა და მოუწოდა მსმენელებს ენერგიულად შეუდგენ მუშაობას.

დასასრულ გამონახული იქნა მეცადინეობისათვის თავისუფალი საათები და შესდგა სათანადო ცხრილი.

მეცადინეობა დაიწყო 22 მაისიდან.

ოგანოვი.

## ვასწავლით წერა-კითხვას

მე-5 ლეგიონი

1903 წელში დაბადებულ ცვალებადელებიდან 5 ლეგიონში აღმოჩნდა 225 უცოდინარი. ცვალებადელების მოსვლის დღიდან და აღრიცხვის შემდეგ, ლეგიონის მასწავლებელთა მთელი შემადგენლობა უკვე შეუდგა ცვალებადელებთან მუშაობას.

ადგილობრივ სამაზრო პოლიტგანმა მიავლინა ლეგიონის განკარგულებაში 8 მასწავლებელი და თან გადასცა ნაწილს ყოველგვარი საჭირო სამოსწავლო ნივთები.

დაარსებული იქნა წერა-კითხვის უცოდინართა 8 ჯგუფი. მეცადინეობა სწარმოებს 5-ჯერ კვირაში სისტემატიურად. ახალწვეულები დიდი ხალისით და მონდომებით ეკიდებიან მეცადინეობას. გაკვეთილებს იმეორებენ და სწავლობენ ასეულებში.

ხშირად წააწყდებით ყაზარმებში ასეთ სურათს: ლოგინზე წამოწოლილი წითელ არმიელები მარცვლობით იმეორებენ; „ჩვენი მასწავლებელი ლენინი“-ო და სხვა. სიხარულით ცას სწვდებიან, რომ ასე მალე იწვრთნებიან კითხვაში.

1-ლ აგვისტოსათვის ლეგიონს არ ეყოლება წერა-კითხვის არც ერთი უცოდინარი ცვალებადელი.. მუშაობა ამ გეზით მიმდინარეობს ნაწილში.

ქ. დევაძე.

## ცვალებადელები ენერგიულად მეცადინეობენ

მე-4 ლეგ. მზვერავი ოცეული

წითელ ყაზარმაში მოსვლისთანავე ცვალებადი წითელ არმიელები ენერგიულად ჩაებენ ნაწილში წარმოებულ მუშაობაში. ყველა საუბრებს და დარიგებებს, რომლებსაც აწარმოებენ მათთან ძველი წითელარმიელები გულმოდგინეთ უსმენენ. ხშირად ვატარებთ მათთან ხმამაღალ კითხვას. უხსნით თუ რა მნიშვნელობა აქვს გაზეთებს და კერძოთ რას ემსახურება ჩვენი გაზეთი „წითელი არმიელი“.

გუნდის კუთხეში არსებულ კითხვა-პასუხის რვეულებში აქტიურ მონაწილეობას დებულობენ შეკითხვების შეტანით. აინტერესებთ მრავალი საკითხები და მოითხოვენ სათანადო ახსნა-განმარტებას.

სამხედრო საქმეს იშვიათი გულმოდგინეობით სწავლობენ. ამხანაგების საერთო დაინტერესება იმის თავდებია, რომ მალე შეავსწავლით ყველა საჭირო და აუცილებელ საგნებს მათ.

სანდრო მაძღარაშვილი.

## წითელ ყაზარმამ იმედები გაამართლა.

(მე-4 ლეგ.)

ჯარში გაწვევას დიდი სიხარულით შევეგებე. გაგონილი მქონდა, რომ სამხედრო სწავლასთან ერთად, რომელიც ძლიერ მაინტერესებს, ყაზარმა იძლევა პოლიტიკურ და საერთო განვითარებასო.

ეს იმედები გამიმართლდა. ყაზარმამ დიდი შთაბეჭდილება დასტოვა ჩემზე. ლენინის კუთხე, სადაც აწყობა ლიტერატურა, კლუბი, სხვა და სხვა წრეები, სამკითხველო, საუბრები და მრავალი სხვა უდიდეს შთაბეჭდილებას სტოვებს. გვგვეგონა, რომ წითელი ყაზარმა ბევრ რამეს იძლევაო, მაგრამ ამდენის შესახებ მე ნც არ გვქონდა წარმოდგენა.

ვეცდები შევისწავლო ყველაფერი რასაც გადმომცემენ ჩემი უფროსები, გავხდე საუკეთესო წითელი არმიელი, რომ საჭიროების დროს მედგრად ვეკვეთო მტერს მშრომელთა სამშობლოს დასაცველად, ხოლო მშვიდობიანობის დროს კი ენერგიულად ვიმუშაო სხვა საადმშენებლო ფრონტზე.

ცვალებადელი ა. ჩუტკერაშვილი.

## საეირო ნათვლა

4-ე ლეგიონი

მაისის 1-ლ რიცხვებში მოწყობილ იქნა ლეგქიმიურ გამგის ამხ. ქავჭანიძის მიერ საკამერო ხრჩოლვა ქლორ-პიკრინის საშუალებით.

კამერაში გატარებულ იქნა პირველად ლეგიონის უფპოლიტშემადგენლობა და წითელ არმიელთა ძირედ შემადგენლობა, შემდეგ მაზრის ავიოქიმის წევრები, მოწაფეები, რომელთა შორის ქალებიც ერია. კამერაში გაჩერების ვადა იყო 5 წუთი.

საერთოდ საეირო ნათვლამ დიდი შთაბეჭდილება დასტოვა მოქალაქეებზე.

დანა.

# ბანაკის პირველი დღეები

## საბანაკოდ მზადება

1-ლი საარტილერიო ლეგიონი

ლეგიონში გაცხოველებული მუშაობაა. ყველა საბანაკოდ ემზადება. ნაწილი აბჯარ ასხმულია. ეზიდებიან ქვემეხებს, მაგიდებს და სკამებს. წ. არტილერისტებს სურთ ზამთარში თეორიულად შეძენილი ცოდნა სამწყობრო საქმეში პრაქტიკაში გადაიტანონ. ამ დღეებში ნაწილი უკვე სავსებით გავა ბანაკში.

ნიჟარაძე.

## ჩვენი მუშაობა

პირველი ლეგიონი

ერთი კვირაა მას შემდეგ, რაც ლეგიონი გაეცნო პირველ დივიზიის ნაწილებთან ერთათ საბანაკო ცხოვრებას. ამ ხნის განმავლობაში ნაწილმა შესძლო საბინაო საკითხების მოგვარება. მოსვლის დღიდანვე ნაწილის ასეულები დაუდალავ მუშაობას აწარმოებენ კარავების მოწყობის საქმეში. ლეგიონის ასეულებს აქვთ მოწყობილი ლენინის კარავები, ამ ჟამად ვაწყობთ სამხედრო კარვებს, რომლებიც საბანაკოთ ყოფნის დროს დიდ აუცილებლობას წარმოადგენენ.

დიდი ყურადღება მიექცა პოლიტ-მუშაობის გაღრმავების საკითხს. ვცდილობთ დავიჭიროთ მჭიდრო კავშირი, როგორც საბანაკოთ მყოფ დივიზიის ნაწილებთან, ისე ადგილობრივ ნაწილებთან და სამოქალაქო ორგანიზაციებთან. ყურადღება ექცევა აგრეთვე პრაქტიკულ მუშაობის წარმოებას. ჩატარებული იქნა საამისო გამოცდებიც.

ბ. ხვინგია.

## არც ჩვენ ჩამოვრჩებით სხვებს

მე-2 ლეგ. საკავშირო გუნდი

ზამთრის განმავლობაში გუნდის წითელ არმიელები ენერგიულად აწარმოებდენ მუშაობას ყველა დარგებში. მშვენივრად შეითვისეს სპეციალური საქმე და არც პოლიტ და კულტ განვითარების საქმეში ჩამორჩენილან უკან.

ბანაკში გასვლის შემდეგ წითელ არმიელებმა თვალსაჩინოთ გახადეს თავისი მომზადება. მეთაურების ყოველგვარ ბრძანებებს უყოყმანოთ და სწრაფად ასრულებენ. მეთაურები ეხლაც ატარებენ ჩვენთან საუბრებს სხვა და სხვა საინტერესო საკითხებზე.

ბანაკში გუნდმა მოაწყო საკავშ. საქმის სპეციალური კუთხე. შევისწავლეთ ელსმენების სქემა და ამ ჟამად გადავედით პრაქტიკულ გამოყენებაზე. ჯერჯერობით შეუცდომლად ასრულებენ წითელ არმიელები ყოველგვარ დავალებებს. მომავალში კიდევ უფრო გაუმჯობესდება ამ მხრივ მდგომარეობა.

ჩვენი წითელ არმიელები შინა ყარაულშიც კი გავიდენ. ამ დავალების პირნათლად შესრულებისათვის დიდი მადლობა მიიღეს ვისგანაც ჯერ არს.

დ. ბოჯგუა.

## მუშაობა შესუსტდა.

1-ლი ლეგ. 1-ლი ათასეული.

ლეგიონის ბანაკში გასვლის შემდეგ ყაზარმებში დარჩა აღნიშნული ნაწილი. მიუხედავად იმისა, რომ ბევრი სამუშაო გვაქვს და ხშირადაც გავდივართ განწესებაში, დრო მაინც ბლომად გვრჩება პოლიტიკური და სხვა ხასიათის მეცადინეობისათვის. სამწუხაროდ ამაზე არავინ ფიქრობს ჩვენთან. ძლიერ შეგვიმცირეს პოლიტსაათების რიცხვი. სკოლის გარეშე მუშაობა სრულიად არ სწარმოებს. ოდნავ მეცადინეობს პარტსკოლა. ახკომკავშირელთა სკოლამ კი დიდი ხანია შეაჩერა მეცადინეობა. წითელარმიელები საზაფხულო პერიოდში მოელოდენ პოლიტსაათებში გაძლიერებულად მუშაობის დაწყებას. ეხლა კი პირიქით უფრო შეგვიკვეცეს საათები. საჭიროა ყურადღება მიექცეს ამ გარემოებას და გაძლიერონ ჩვენთან კულტურულ-პოლიტიკური ხასიათის მუშაობა.

ყოჩანი.

## სამხკორო!

როგორ შეიძლება მოვიმომჭირნოთ ზედმეტი კაპეიკები, კარგად მოიფიქრე და ისე მოიწერე შენს გაზეთში.

## ჩვენი კავშირის მუშაობა

მე-2 არტლეგიონი

20 მაისს შესდგა უფპოლიტშემადგენლობისა და ახკომკავშირის გაერთიანებული კრება. დაესწრო 42 ამხანაგი ცვალებადელებიდან და უფპოლიტშემადგენლობიდან. მოხსენება გააკეთა ბიუროკოლექტივის მდივანმა. მან ჯამი გაუკეთა კომკავშირის საქმიანობასა და მიღწევებს მუშაობაში და აღნიშნა თუ როგორ უნდა სწარმოებდეს მომავალი მუშაობა წითელ არმიელთა ფართე მასების გააქტივების საქმეში, შეეხო დისციპლინის განმტკიცების აუცილებლობას, როგორც კავშირის რიგებში, ისე საერთოდ სამხედრო საქმეში. მოხსენება გაკეთებულ იქნა რუსულადაც, ვინაიდან ჩვენთან რუსებიც არიან. მოხსენების ირგვლივ გაიმართა კამათი, რომელშიაც აქტიურ მონაწილეობას ღებულობდენ კრების წევრები.

ბოლოს არჩეულ იქნა აქტიური მომუშავე ორგანიზატორი.

დასასრულ გაირჩა მიმდინარე საკითხები.

პ. კახიძე.

# მოსპეთ ნაკლულევანებანი

### უნდა მოწესრიგდეს წყლის საკითხი

1-ლი დივიზიის ნაწილები ბანაკში სარგებლობენ ერთ წყალსადენი მილით. წყალი მეტად მცირე რაოდენობით მოდის და არ ყოფნის ყველას. ჩამდგარი არიან წითელ არმიელები რიგში და ხშირად ჩხუბიც კი იმართება ამ ნიადაგზე. საჭიროა ნაწილებმა მდინარიდანაც დაიწყონ წყლის მოტანა, წინააღმდეგ შემთხვევაში არსებულ მდგომარეობას ბოლო არ მოეღება და ყოველთვის დაუგვიანდებათ სადილების დამზადება როგორც ეს ხდება ამ ჟამად.

ც. ტ.

### ჩხუბს ბოლო უნდა მოეღოს

მე-6 ლეგიონის უმწყობრო გუნდის სასადილოში ხშირად აქვს ადგილი ჩხუბსა და აურ-ზაურს. წითელ არმიელების შორის გინებას და უცენზურო სიტყვებს ხშირად აქვს ადგილი. ამას წინად ნაჯახებითაც კი მიიწიეს ერთმანეთზე ვიღაც კერძო მოქალაქემ და წითელ არმიელმა.

საკვირველია რა უნდა ჩვენს სასადილოში კერძო მოქალაქეებს და რად არ ექცევა ყურადღება ამ გარემოებას.

ვ. ოთარიშვილი.

### სისუფთავე არაა დაცული.

ტფილისის სამხედრო გოსპიტალის პალატებში ძლიერ უსუფთაობაა ამ უკანასკნელ ხანებში, ფანჯრების მოაჯირები და სხვა მტვერით არის სავსე. არავინა ფიქრობს მის გადმოწმენდას. უსუფთაობაა იატაკებზე და სხვაგანაც. მოწყალების დები და სანიტრები არ არიან თავის დროზე ავადმყოფებთან. მთელი საათებია ყვირილი საჭირო, რომ ვინმემ მოგვაქციოს ყურადღება. სანამდე უნდა ვიქნეთ ასეთ მდგომარეობაში?

რევიშვილი.

# წვრილმანები

(სამხედროთა წერილებიდან)

## სამაგალითო მეკუჭნავე

ნათქვამია:

„ხერხი სჯობია ღონესა—თუ კაცი მოიგონებსა".

ეს თქმულება კარგათ აქვს შეგნებული 1-ლ ლეგიონის ქვეითა ბატარეის მეკუჭნავეს.

მას შეუძლიან სრულიად არ მისცეს შაქარი წითელ არმიელებს.

უფრო კარგი არ არის ამ შაქრის სხვანაირად გამოყენება?

ამიტომ მეკუჭნავემ ძაან კარგ ხერხს მიმართა: აილო და სასწორის იმ თეფშს, რომელზედაც იწონება შაქარი ქვეით რკინის ნატეხი ამოაკრა.

—შაქარი გნებავთ, ამხანაგო? ემ წუთში აგიწონით.

და მეკუჭნავე დიდის მარიფათით წონის შაქარს.

უყურებს ამ პროცესს წითელ არმიელი და გული უკანკალებს: თითქო გირი კარგა მოზრდილია, ამ შაქარს რაღა ღმერთი უწყრება?

—ამხანაგო მეკუჭნავე, აქ რაღაც გაუგებრობაა, შაქარი ძაან ცოტა მოდის—ეუბნება თვალზე ცრემლ მორეული წითელ არმიელი.

—რა ჩემი ბრალია ძვირფასო ამხანაგო, აი ეს გირი, ესეც შაქარი, ხომ ხედავ სასწორი რა სწორეთ არის.

რა ქნას საბრალო წითელ არმიელმა. მწარეთ ჩაფიქრებული ბრუნდება უკან.

——

ესე ამბავი უტყუარი გვაცნობეს შაქრის საკითხში დაზარალებულებმა.

ამით, ვავალებთ, ვისაც შეეხება ზემოთ თქმული, გვაცნობონ სასწრაფოდ—ის რკინა, რომელიც სასწორის თეფშს მიკრული ჰქონდა, არსებობს თუ არა დღესაც.

## სამხედრო ქრონიკა

### თადარიგის მეთაურის სახელწოდებისათვის

საბჭოთა კავშირის სამხედრო რევოლიუციონური საბჭოს ბრძანების თანახმად მუშურ გლეხური წითელი არმიის თადარიგის მეთაურობაზე შეუძლიათ ჩააბარონ გამოცდები ვადიანი სამხედრო სამსახურის იმ მოსამსახურეებმა, რომლებსაც არა აქვთ დამთავრებული საშვალო განათლება, მაგრამ არა ნაკლები 2 საფეხურის სკოლის მეხუთე ჯგუფისა.

გამოცდებზე დაშვება მოხდება მხოლოდ სამხედრო სკოლის კურსის წინასწარი გავლისა და უმცროს მეთაურის სახელწოდების მიღების შემდეგ.

## ახალი სამხედრო ტეხნიკაში

— ამერიკის საზღვაო სამინისტრო ახდენს ერთგვარი ხელსაწყოს გამოცდას, რომლის საშვალებით და რადიოტელეგრაფის დახმარებით შესაძლებელი გახდება სხვა და სხვა საგნების დანახვა დიდი მანძილიდან. რომ ასეთი ხელსაწყოების გამოგონება შესაძლებელია—შეიძლება დავრწმუნდეთ, რადგან რადიო ტელეგრაფის საშვალებით უკვე შესძლეს ფოტოგრაფიული სურათების და საერთოდ საგნის გამოსახულების გადაცემა.

აღნიშნული გამოგონება დიდ როლს ითამაშებს ბრძოლის წარმატებითი წარმოების საქმეში.

ასეთი აპარატებისათვის უმნიშვნელო იქნება ყოველგვარი კვამლის ფარდები და ღრუბლიანი ამინდები. ესენი ვერ დააბრკოლებენ მოწინააღმდეგის დანახვას და ყოველთვის შესაძლებელი იქნება ამ საფარებს ამოფარებული და შეტევაზე წამოსული მოწინააღმდეგის აღმოჩენა და განადგურება არტილერიის ცეცხლით.

— იაპონიაში გამოიგონეს ჰაეროპლანის წინააღმდეგ მომქმედი ახალი ტიპის ჭურვი. იაპონურად ჭურვს ეწოდება „მუდანი", რაც ჩვენს ენაზე გადმოტანით ნიშნავს ჭურვი ბადე, მას აქვს პარაშიუტის ფორმა და აფეთქების დროს შამოეხვევა ჰაეროპლანის პროპელერსა და საჭეს. როგორც იტყობინებიან ასეთი ჭურვი დამზადებული და უკვე გამოცდილი იქნა გერმანიაშიც.

— საფრანგეთში საიდუმლოთ გამოსცადეს უპროპელერო ჰაეროპლანები, რომლებიც მოძრაობენ უკანა ნაწილში გაშვებული ჰაერისა და გაზების საშვალებით. თავისი მოძრაობის წესით ასეთი ჰაეროპლანი ძლიერ წააგავს რაკეტას—მაშხალას. მაშხალაც ასეთი წესით—უკანა ნაწილში ჰაერისა და გაზების გაშვებით მოძრაობს. მოძრაობის ასეთი წესი არა თუ ამცირებს ჰაეროპლანის წონას, არამედ აძლევს მას აგრეთვე დიდ სისწრაფეს, რომელიც არასდროს არ შეუძლია განავითაროს პროპელერიან ჰაეროპლანმა.

## სამხედრის კუთხე

### ცვალებადელო, მოჰკიდე ხელი კალამს!

ცვალებად შემადგენლობის წითელ არმიელები მოწყვეტილი არიან გუთანსა და დაზგას იმისთვის, რომ შეისწავლონ სამხედრო საქმე და განვითარდენ პოლიტიკურად. ჩვენ უნდა ვაფასებდეთ ამიტომ ამ შეკრებებს და მთელი ჩვენი ყურადღება უნდა გადავიტანოთ იქეთკენ, რომ შევსძლოთ შამხანის კარგად მოხმარა და ვიყოთ პოლიტიკურად გათვითცნობიერებული წითელ არმიელები.

საკუთარი ცოდნის განმტკიცების საუკეთესო საშუალებაა—ვსწეროთ ნაწილში წარმოებული სწავლების შესახებ კედლის გაზეთებში და გაზეთ „წითელ არმიელში".

გაზეთების საშვალებით ჩვენ შევსძლებთ ავიცილოთ თავიდან ყოველგვარი შეცდომები და ნაკლულოვანებანი ჩვენს სწავლებაში. სამხედროთა მუშაობის შემწეობით შევსძლებთ გავზარდოთ ცვალებადელების აქტიურობა და გავაუმჯობესოთ ამხანაგური დამოკიდებულების ფორმა წითელ არმიელებს შორის.

თუ ჩვენ თავიდან ავიცილებთ ყველა შეცდომებს, მაშინ მეტის გაკეთებას შევსძლებთ ჩვენს განკარგულებაში არსებულ მცირე დროს განმავლობაში.

ყველამ კალამს მოჰკიდეთ ხელი! დავეხმაროთ ჩვენს თავს და სხვა წითელ არმიელებს სწავლაში.

სამხკორაძე

## მეცნიერება და ტეხნიკა

### ჰქრება თუ არა მზე?

1922 წელში მზეზე შემჩნეული იქნა მეცნიერების მიერ აუარება შავი ლაქები. ამ გარემოებამ, როგორც დამტკიცდა გამოკვლევებით 4 პროცენტით დააკლებია მზეს სითბოს გამოშვება მისი სითბოებრივი ენერგიის რაოდენობასთან შედარებით.

ასტრონომებმა გამოსთქვეს მაშინ აზრი, რომ შემდეგი წლებიც არ იქნებიან ამ მხრივ ხელსაყრელი, რადგან გაძლიერებული შავი ლაქების გამო თანდათან იკლებს მზისაგან გამოშვებული სითბოებრივი ენერგია. და მართლაც აგერ მეოთხე წელიწადია, რაც მზეზე თანდათან მატულობს შავი ლაქების რიცხვი და თანდათან კლებულობს ჩვენს პლანეტაზე მზის სითბოს რაოდენობა. წამოიჭრა საკითხი, ჩაქრობას ხომ არ უნდა აპირებდეს მზე?

ამ მხრივ საშიშროება არ მოგველის, რადგანაც ჩვენი მზის ოდენა ვარსკვლავის ცხოვრების საშვალო დროთ ითვლება 30.000 ბილიონ წელიწადი.

ამერიკული გაზეთები ხმაურდენ ამის გარშემო. ყველგან შეხვდებით წერილებს სათაურით: „მზე ჩაქრობას აპირებს". იქ სენსაციის მოყვარული ხალხია. ამ გარემოებამ მთელი პანიკა გამოიწვია ხალხში და ძლივს დამშვიდდენ მას შემდეგ რაც ასტრონომებმა გამოუშვეს ოფიციალური ბიულეტენები, რომ გავრცელებული აზრი მზის ჩაქრობის შესახებ უსაფუძვლოა.

### 50 წლის შემდეგ.

ერთ-ერთი ამერიკელი პროფესორი არჩევს საკითხს თუ როგორი იქნება კაცობრიობის ცხოვრება ნახევარი საუკუნის შემდეგ. მოსახლეობა იმდენად მრავლდება ყველა ქვეყნებში, რომ თანამედროვე კვების საშვალებები ველარ დააკმაყოფილებს კაცობრიობას 50 წლის შემდეგ. საჭირო შეიქნება 50 პროცენტით ტაბლეტკებით კვება. საჭირო იქნება ბინის საკითხის რეორგანიზაციაც. სახლებს ექნებათ ექვს კუთხის ფორმა, რადგან ასეთი ფორმის სახლებში ყოველი მხრიდან შედის სინათლე და ჰაერი, რომ შესაძლებელი შეიქნეს სახლის ყველა კუთხეების გათბობა. გათბობა იწარმოებს რადიოს საშვალებით ცენტრალური ქალაქის ღუმლიდან.

## უცხოეთის არმიებში

### „მომჭირნეობის რეჟიმი" საფრანგეთის არმიაში.

ფინანსიური კრიზისი, რომელმაც ასე მძლავრად მოიკიდა ფეხი საფრანგეთში, აიძულებს მთავრობას ხელი მიჰყოს მომჭირნეობას იქ, სადაც ეს შესაძლებელია. სამხედრო მინისტრსაც მიეცა წინადადება მიიღოს ზომები არმიაში „მომჭირნეობის რეჟიმის" გატარების შესახებ და შემცირებული იქნას სამხედრო ხარჯები.

სამხედრო მინისტრი ამის გამო ფიქრობს შეადგინოს განსაკუთრებული კომიტეტი, რომელსაც დაევალება გამოძებნოს საშვალებები სამხედრო ხარჯების შესამცირებლად, და კერძოთ კი, შეამციროს შტატები კანცელარიებსა, შტაბებსა და სხვა და სხვა სამხედრო დაწესებულებებში.

## პასუხი შეკითხვებზე

ა. ბ—რს. მიმართეთ თემის მიწის კომისიას და შემდეგ მაზრისას.

მსურველს. თუ თქვენი და თქვენს რჩენაზე იმყოფება, ის განთავისუფლებულ უნდა იქნეს სწავლის ფულისაგან. (ბრ. № 1520—25 წ.)

თავაძეს. შეეკითხეთ სამხედრო პროკურორს.

ბუჩ—რს. თმა მოკლედ უნდა ქონდეს შეკრეჭილი.

ქებაძეს. შეუძლია.

მთიულიშვილს. მოკლე ვადიანი შევბულება იძლევა განსაკუთრებულ ოჯახურ მდგომარეობის გამო.

მასვე. მიმართეთ კომუჯრედს.

კასრაძეს. თქვენი ძმის შესახებ უნდა მიმართოთ რკ.გზის მთავარ სახელოსნოს.

სულთანიშვილს. თუ სინამდვილეა ის, რასაც თქვენ სწერთ, მაშინ მას გაიწვევენ ტერნაწილში.

შამიანცს. სამხედრო უწყებიდან არ მოგეცემათ. მიმართეთ უზრუნველყოფის კომისარიატს.

ხარშილაძეს. მიმართეთ ლეგ. ექიმს, რომ გადაგგზავნოს საგარნიზონო კომისიაში.

ბიოშვილს. ორი წელი.

შიუკაშვილს. უნდა მოუცადოთ პასუხს.

ს. ქ. მხოლოდ უფროსის ნებართვით.

ბ—ძეს. სამხედრო სკოლებში შესასვლელად საჭიროა საშოქალაქო პირველ საფეხურის სკოლის კურსის ცოდნა.

ამ—ლს. დამზღვევ სალაროდან დახმარება არ მოგეცემათ.

## პასუხი სამხკორებს

მ. ჭყონიას (5 ლეგ.) თქვენი წერილი ფორმის შესახებ არ დაიბეჭდება. მიმართეთ ლეგიონის უფროსს.

დედისეს კორესპონდენცია სადილის დაგვიანების შესახებ გამოდგება ადგილობრივ კედლის გაზეთისათვის.

ჩაგელიშვილს (1-ლი ლეგ.), ცეცხლს (ტხენ. ლეგ.), დანას (4 ლეგ.), ე-ლ-ს (მე-6 ლეგ.), ლ. გ—ძეს (1 მესანგრე), და სალვიშვილს (2 ლეგ.) თქვენი კორესპონდენციები: „მოვაწყვეთ ბანაკი", „საჭიროა შეკეთება", „ახალწვეულები ჩვენთან", „როგორ ვცხოვრობთ და ვმუშაობთ", „ბანაკად გამგზავრება" და „მეორე ლეგიონის ბატარეია" არ დაიბეჭდება. ასეთი შინაარსის კორესპონდენციები დაიბეჭდა ჩვენს გაზეთში. ხელმეორედ არ გავა. მოგვაწოდეთ წერილები სხვაზე.

დედისეს კორესპონდენცია „საუბარი კურიერთან" უმნიშვნელოა. არ დაიბეჭდება.

გორდეზიანს (გოსპიტალი) წერილი „ექიმის შესახებ" ჩვენს გაზეთში არ დაიბეჭდება. მოათავსეთ ადგილობრივ კედლის გაზეთში.

## ვის აქვს საწინააღმდეგო?

ქართ. გაერთ. სამხ. სკოლის მეორე კომუჯრედში შემოტანილი აქვს განცხადება პარტ-კანდიდატთ გადარიცხვის შესახებ ამხ. შალვა ლუკასძე ვასაძეს (ა. ლ. კ. კ. წევრი 1921 წლიდან ოზურგეთის მაზრის, სოფელ ამაღლების მცხოვრები).

გთხოვთ თუ ვინმემ რაიმე უარყოფითი იცით ამხანაგის შესახებ გვაცნობოთ ზემო აღნიშნულ უჯრედში.

კომუჯრედის პრეზიდიუმი.

## რა ღირს 1-ლ ივნისიდან „წითელი არმიელი"!!

ცალკე ხელის მომწერთათვის:

1 თვით — 35 კაპ.
3 თვით — 90 კ.
6 თვით — 1 მ. 70 კ.
12 თვით — 3 მ. 20 კ.

წითელ-არმიელებისათვის კოლექტიური ხელის-მოწერა არა ნაკლებ 10 ცალისა:

1 თვით — 30 კაპ.
3 თვით — 80 კ.
6 თვით — 1 მ. 50 კაპ.
12 თვით — 3 მ.

ცვალებადელთათვის სოფელში გადაგზავნით იგივე რაც წითელ არმიელებისათვის

**დაიკარგა** პირადი წიგნაკი, თბილისის მაზრის სამხედრო კომისარიატის მიერ გაცემული დავით ივანესძე ივანიაშვილის სახელზე. ჩაითვალოს გაუქმებულად.

ნ. დ. ს. ც. სამხედრო სტამბა კეცხოველის ქ. № 3. პასუხისმგებელი რედაქტორი ლ. ჩანტლაძე.